სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში

საქართველოს მდგრადი დემოკრატიული განვითარებისთვის

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში

პროექტს ახორციელებს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატი (DGI): სოციალური უფლებების დეპარტამენტი და დაფინანსებულია საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში

მარტი 2021 – დეკემბერი 2023

სოციალური და ეკონომიკური
უფლებების დაცვის
გაძლიერება საქართველოში

ამ ნაშრომში მოსაზრებები გამოთქმულია ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობით და აუცილებელი არ არის, ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.
ყველა შეცდომა ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობაა.

პუბლიკაცია შემუშავებულია ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“.

დოკუმენტიდან ამონარიდების (500 სიტყვამდე) ხელახლა გამოყენება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებით, თუ დაცულია ტექსტის მთლიანობა, ამონარიდი არ გამოიყენება კონტექსტიდან ამოღებულად, არ წარმოგვიდგენს არასრულ ინფორმაციას, ან სხვაგვარად არ შეჰყავს შეცდომაში მკითხველი ტექსტის ბუნებასთან, გამოყენების სფეროსა ან შინაარსთან მიმართებით. წყარო ტექსტი ყოველთვის აღიარებული უნდა იყოს შემდეგნაირად: „©ევროპის საბჭო, გამოცემის წელი“.

ყველა თხოვნა დოკუმენტის მთლიან ან ნაწილობრივ რეპროდუქციაზე/თარგმნაზე უნდა წარედგინოს კომუნიკაციის დირექტორატს, ევროპის საბჭოს (F-67075 სტრასბურგი Cedex ან publishing@coe.int).

ყველა სხვა თხოვნა ამ დოკუმენტთან დაკავშირებით უნდა წარედგინოს სოციალურ უფლებათა დეპარტამენტს, DGI, ევროპის საბჭო, F-67075 სტრასბურგი Cedex ან social.charter@coe.int.

ყდა და დიზაინი: ნინო ბერაძე, გოგა დავთიანი

ფოტო: ევროპის საბჭო, euneighbourseast.eu

წინამდებარე პუბლიკაციას არ გაუვლია რედაქტირება SPDP-ის სარედაქციო განყოფილებაში, ტიპოგრაფიული ან გრამატიკული შეცდომების გასასწორებლად.

©ევროპის საბჭო,

დეკემბერი 2023

ბროშურაში გამოყენებული აბრევიატურები

CoE	ევროპის საბჭო
CSOs	სამოქალაქო ორგანიზაციები
ECSR	სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი
ESC/Charter	ევროპის სოციალური ქარტია
IDPs	იძულებით გადაადგილებული პირები
LIO	სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
MoH	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
NGOs	არასამთავრობო ორგანიზაციები
NHRI	ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი
PDO	საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი
TSPC	სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია

პროექტის შესახებ



მიზანი

პროექტის სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში მიზანია საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი წარმომადგენლების შესაძლებლობების გაძლიერება სოციალური უფლებებისა და სოციალური მომსახურების მიწოდების პროცესში და საქართველოს კანონმდებლობის - კონკრეტულად შრომითი უფლებების მიმართულებით - ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ხელშეწყობა. პროექტის სხვა ამოცანებია ევროპის სოციალური ქარტიის ახალი დებულებების მიღების მხარდაჭერა; ეროვნული ანგარიშების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; და სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობების განმტკიცება სოციალური უფლებების დაცვის მონიტორინგისა და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტისთვის (ECSR) ალტერნატიული ანგარიშების წარდგენის პროცესში.

ძირითადი პარტნიორები

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
- სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
- საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი
- საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი
- შესაბამისი პროფილის სამოქალაქო და არასამთავრობო ორგანიზაციები

ბენეფიციარები

საქართველოს მოსახლეობა, განსაკუთრებით:

- შრომის ინსპექტორები
- სამართლის სპეციალისტები
- საგანმანათლებლო ინსტიტუტები
- სოციალური პარტნიორები
- ადგილობრივი ხელისუფლება
- სოციალური მუშაკები

პროექტის გავლენა

სოციალური და ეკონომიკური უფლებები განმტკიცებულია ევროპული სტანდარტების შესაბამისად და ემსახურება საქართველოს მდგრად დემოკრატიულ განვითარებას.

პროექტის შუალედური შედეგები

შუალედური **შედეგი 1**

სოციალური და ეკონომიკური უფლებები, შესაბამისი პოლიტიკა და პრაქტიკა ეროვნულ დონეზე შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სოციალური უფლებების სათანადო დაცვას და განხორციელებას.

უშუალო შედეგი 1.1: საქართველოში სოციალურ უფლებებთან დაკავშირებული მდგომარეობა შეფასებულია, არსებობს განახლებული საბაზისო მონაცემები, რაც განსაზღვრავს სამომავლო თანამშრომლობის არეალს.

უშუალო შედეგი 1.2: ეროვნული კანონმდებლობა, კერძოდ, დასაქმებისა და შრომითი უფლებების მიმართულებით, გაანალიზებულია. ყოვლისმომცველი პოლიტიკა და საკანონმდებლო ბაზა ამ უფლებების დაცვისა და ცნობიერების ამაღლების შესახებ შემუშავებულია ევროპული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

შუალედური **შედეგი 2**

შუალედური შედეგი 2: გაძლიერებულია სამიზნე ჯგუფების (პოლიტიკის შემქმნელები, სოციალური მუშაკები, შრომის ინსპექტორები, სახალხო დამცველის აპარატი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები) ცოდნა და შესაძლებლობები სოციალური უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების და მათი დაცვის კუთხით, ევროპული სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

უშუალო შედეგი 2.1: ადამიანის სოციალური უფლებების და ევროპის სოციალური ქარტიის სისტემის შესახებ ცნობიერება გაზრდილია შესაბამის სამიზნე ჯგუფებში (პოლიტიკის შემდგენები, სოციალური მუშაკები, შრომის ინსპექტორები, სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები).

უშუალო შედეგი 2.2: შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობები განმტკიცებულია, რაც უზრუნველყოფს მისი მანდატის ეფექტურ განხორციელებას.

უშუალო შედეგი 2.3: ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ ანგარიშები მომზადდა ინკლუზიური პროცესის ფარგლებში, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილია ანგარიშების ხარისხი. ალტერნატიული ანგარიშები (ჩრდილოვანი ანგარიშები) წარედგინა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს.

პროექტის ძირითადი მიღწევები: 2021-2023

სოციალური და ეკონომიკური უფლებები, შესაბამისი პოლიტიკა და პრაქტიკა ეროვნულ დონეზე შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სოციალური უფლებების სათანადო დაცვას და განხორციელებას

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების შესაძლებლობები სოციალური უფლებებისა და სოციალური მომსახურების მიწოდების პროცესში გაძლიერდა ინსტიტუციური საჭიროებების კვლევის შედეგების შესაბამისად

საქართველოში არსებული სოციალური უფლებრივი მდგომარეობის შეფასების მიზნით ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ ჩატარებული საჭიროებების შეფასების ყოვლისმომცველი კვლევა საფუძვლად დაედო საქართველოს ხელისუფლებასთან **შემდგომი თანამშრომლობის** განსაზღვრას. სოციალური უფლებების - *განსაკუთრებით შრომითი და დასაქმების უფლებების* გაძლიერებული დაცვის მნიშვნელობაზე აქცენტირებით, ანგარიშში რეკომენდებულია, რომ **საქართველომ განაახლოს მსჯელობა ქარტიის დამატებითი დებულებების მიღების თაობაზე;** ასევე, გააძლიეროს დიალოგი **სტრატეგიული გზამკვლევის** შემუშავების თაობაზე, რამაც თავის მხრივ ხელი უნდა შეუწყოს ქარტიის დარჩენილი მუხლების რატიფიცირების პროცესს.

საკვანძო მიღწევა

პროექტმა ხელი შეუწყო არა მხოლოდ ზოგადი ცნობიერების ამაღლებას, არამედ აქტიური წვლილი შეიტანა საქართველოს კანონმდებლობასა და პოლიტიკის დოკუმენტებში ქარტიის სტანდარტების ინტეგრაციის მიმართულებით.

ყველა პარტნიორი

ივლისი-სექტემბერი 2021

განხორციელდა საჭიროებების შეფასების მისია

CoE ექსპერტები

ოქტომბერი-ნოემბერი 2021

მომზადდა საჭიროებების შეფასების ანგარიში

ყველა პარტნიორი

ნოემბერი 2021

ჩატარდა ანგრიშის განხილვა და პრეზენტაცია





სოციალური და ეკონომიკური უფლებები, შესაბამისი პოლიტიკა და პრაქტიკა ეროვნულ დონეზე შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სოციალური უფლებების სათანადო დაცვას და განხორციელებას

საქართველოს კანონმდებლობის, კერძოდ, შრომითი უფლებების სფეროში, შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან ხელშეწყობილია

ევროპის საბჭო მხარს უჭერს საქრთველოს ხელისუფლებას **საქართველოს კანონმდებლობის შემდგომ დახვეწას.** პროექტი აქტიურად იყო ჩართული **სოციალური რეფორმის** პროცესებში და მონაწილეობდა მთელ რიგ შეხვედრებში, *განსაკუთრებით დასაქმების* თემატურ სამუშაო ჯგუფის ფორმატში. ეს მხარდაჭერა მოიცავდა რეკომენდაციებს **საქართველოში თანაბარი ანაზღაურებისა და პრაქტიკის** შესახებ კანონმდებლობის დონეზე; ასევე, **კონცეპტუალური დოკუმენტების** გადასინჯვას **მინიმალური ხელფასის, უმუშევრობის სოციალური დაზღვევის, არაფორმალური სამუშაოსა და თვითდასაქმების ფორმალიზების** თაობაზე.

საკვანძო მიღწევა

ევროპის საბჭომ წვლილი შეიტანა ხუთი ექსპერტული დასკვნისა და რეკომენდაციების მომზადებაში ჯანდაცვის სამინისტროსთვის, რაც დამატებითი ღირებულების მომტანი იყო სოციალური რეფორმის პლატფორმისთვის. საბჭო მოელის, რომ შესაძლებელი იქნება სათანადო ცვლილებების განხორციელება ჰორიზონტალურ დონეზე, შესაბამისი კანონმდებლობის მომზადებისას.

მთავარი მოვლენები

ყველა პარტნიორი

ნოემბერი 2021

ევროპის საბჭომ მონაწილეობა მიიღო დასაქმების თემატური ჯგუფის სამუშაო შეხვედრებში

ყველა პარტნიორი

მარტი 2022

ევროპის საბჭომ ორგანიზება გაუწია ვორქშოფს ევროპის სოციალური ქარტიის შემდგომი დებულებების მიღების თაობაზე

ყველა პარტნიორი

March 2022

ევროპის საბჭომ ორგანიზება გაუწია ვორქშოფს ევროპის სოციალური ქარტიის მიღებული დებულებების თაობაზე

ჯანდაცვის სამინისტრო, პარლამენტი, სახალხო დამცველის ოფისი

ოქტომბერი 2022

ევროპის საბჭომ გამართა ორმხრივი შეხვედრები ჯანდაცვის სამინისტროსთან, პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან და სახალხო დამცველის ოფისთან ქარტიის განხორციელების და შემდგომი დებულებების მიღების შესაძლებლობის თაობაზე

TSPC, სახალხო დამცველის ოფისი, პარლამენტი

ოქტომბერი 2022

ევროპის საბჭომ ორგანიზება გაუწია ღონისძიებათა ციკლს საქართველოს კანონმდებლობის ქარტიის სტანდარტებთან შესაბამისობისა და შემდგომი დებულებების მიღების თაობაზე



თამარ ბარკალაია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

ევროპის საბჭოს პროექტი „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“ პირველი პროექტია სოციალური უფლებების დაცვის სფეროში, რომლის მხარდაჭერითაც ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

ღონისძიებათა სერია ევროპის სოციალურ ქარტიასთან მიმართებით, მნიშვნელოვნად დაეხმარება სახელმწიფოს, მოახდინოს იმის იდენტიფიცირება თუ სად ვართ ახლა და რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისთვის, რომ მაქსიმალურად დავუახლოვდეთ ევროპულ სტანდარტებს სოციალური უფლებების დაცვის სფეროში.

27 ოქტომბერი 2023

რა ეტაპზეა საქართველო ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების თვალსაზრისით და რა ნაბიჯებია დაგეგმილი სამომავლოდ?

2005 წელს, საქართველომ ევროპის სოციალური ქარტიის რატიფიცირება მოახდინა და მისი 98 მუხლიდან 63-ის მიღება დაადასტურა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, უზრუნველყოს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობა და ცხოვრების შესაბამისი სტანდარტი. ამის მიუხედავად, საჭიროა დამატებით 35 მნიშვნელოვანი მუხლის რატიფიცირება, როგორიცაა სამუშაო პირობები და სამართლიანი ანაზღაურება, რაც მიუთითებს შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობაზე. ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და სოციალური უფლებების დაცვის გაძლიერების მიზნით, 2023 წლის ოქტომბერში, პროექტის ფარგლებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურებოდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას ქარტიასთან. ეს ღონისძიებები მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური უფლებების გაძლიერებისკენ და მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიით განსაზღვრული სტანდარტების მიღწევის მზაობაზე. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს თანამშრომლობა და მოხდეს დარჩენილი დებულებების რატიფიცირება.

გაძლიერებულია სამიზნე ჯგუფების *(პოლიტიკის შემქმნელები, სოციალური მუშაკები, შრომის ინსპექტორები, სახალხო დამცველის აპარატი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები)* ცოდნა და შესაძლებლობები სოციალური უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების და მათი დაცვის კუთხით, ევროპული სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის შეაბამისად.



პროექტის პარტნიორებისა და ძირითადი სამიზნე ჯგუფების ცნობიერების დონე სოციალური უფლებებისა და ევროპის სოციალური ქარტიის შესახებ გაუმჯობესდა

2021 წლის დეკემბერში ჩატარდა მცირემასშტაბიანი კვლევა სამიზნე ჯგუფებს შორის ევროპის სოციალური ქარტიის შესახებ ცნობიერების დონის შესაფასებლად. ამ შედეგების გათვალისწინებით, ევროპის საბჭომ პროექტის პარტნიორებისა და ძირითადი სამიზნე ჯგუფებისთვის *(მთავრობა, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტები, პრეზიდენტის აღმინისტრაცია, სამოქალაქო ორგანიზაციები, სავაჭრო კავშირები, იურისტები და სხვა საერთაშორისო პარტნიორები)* ორგანიზება გაუწია **მთელ რიგ სემინარებსა და შეხვედრებს.**

გარდა ამისა, პროექტმა შექმნა ღირებული რესურსები ყველა დაინტერესებული მხარისათვის, რისთვისაც უზრუნველყო ევროპის სოციალური ქარტიისა და შესაბამისი ევროპული სტანდარტების შესახებ მომზადებული საინფორმაციო მასალების **თარგმნა/ადაპტირება, გამოცემა და გავრცელება.**

იხილეთ 'პუბლიკაციები' 29 გვერდზე

სოციალური უფლებების პოპულარიზებაში მედიას წამყვანი როლი ეკისრება. ევროპის საბჭოს პროექტის თანამონაწილეობით ორგანიზებული მედია სემინარი მიზნად ისახავდა ცენტრალური და რეგიონული მაუწყებლების და ონლაინ მედიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებას და ცოდნის გაუმჯობესებას ევროპის სოციალური ქარტიის თაობაზე. დისკუსიის ნაწილი იყო არსებული პრაქტიკა, მათ შორის ეთიკური ასპექტები და მათი გადაჭრის გზები.

@euneighbourseast.eu

ლიკა ზაქაშვილი

პუბლიკას მთავარი ხელაქტორი

სოციალური ქარტიის შესახებ ზედაპირული ინფორმაცია მქონდა. ვორქშოპის მოსმენის შემდეგ ცოდნა გამიღრმავდა - გავიგე, რა თემებს ფარავს ქარტია და ასევე, როგორი პროგრესი აქვს საქართველოს ქარტიის ფარგლებში აღიარებული დებულებების იმპლემენტაციის საქმეში. ქარტიის დებულებების იმპლემენტაცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მთელ რიგ სფეროებში საქართველოს მოქალაქეების უფლებათა ხელიზაციას და ცხოვრების ხარისხს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი მგონია მედიის მხრიდან ქარტიის დებულებების შესრულებაზე მონიტორინგი და ამ თემებზე პასუხისმგებელი ორგანოების საქმიანობის გაშუქება. ეს ხელს შეუწყობს ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდას და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას საკითხებზე, რომელთაც ქარტია მოიცავს.

2023 წლის 7 ივნისი

2022 წლის ივლისში ევროპის საბჭომ ორგანიზება გაუწია **სახალხო დამცველის ოფისის სასწავლო ვიზიტს** ირლანდიაში. ანგარიშების მომზადების მნიშვნელოვან საკითხთან ერთად ვიზიტის მიზანი იყო **ევროპის სოციალური ქარტიის პოპულარიზაციაში** ირლანდიის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის როლის გაცნობა. ამ ვიზიტს წინ უძღოდა **ცნობიერების ამაღლების სემინარი** - *ევროპის სოციალური ქარტია და მისი მნიშვნელობა საქართველოში*, რომელიც ევროპის საბჭოს ორგანიზებით 2021 წლის დეკემბერში გაიმართა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის.

თამარ გვარამაძე

სახალხო დამცველის პირველი მოადგილე

სახალხო დამცველის იწუმენულებისთვის ნამდვილად ღირებული იყო ირლანდიის ადამიანის უფლებათა და თანასწორობის კომისიაში ჩვენი კოლეგების მიერ, ასევე, სახალხო დამცველისა და ბავშვთა უფლებების დამცველის ოფისის და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაზიარებული ინფორმაცია და გამოცდილება. მათ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს გავითვალისწინებთ ჩვენ შემდგომ საქმიანობაში, უკვე განვსაზღვრეთ კიდეც მათი პრაქტიკაში განხორციელების გზები.

2022 წლის 2 აგვისტო

გაძლიერებულია სამიზნე ჯგუფების (პოლიტიკის შემქმნელები, სოციალური მუშაკები, შრომის ინსპექტორები, სახალხო დამცველის აპარატი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები) ცოდნა და შესაძლებლობები სოციალური უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების და მათი დაცვის კუთხით, ევროპული სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის შეაბამისად.

შრომის ინსპექციის სამსახურის შესაძლებლობები გაძლიერდა ინსტიტუციური საჭიროებების სიღრმისეული კვლევის საფუძველზე

პროექტის ფარგლებში ჩატარდა **შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური საჭიროებების სიღრმისეული კვლევა.** ანგარიშში წარმოდგენილია რეკომენდაციები ინსტიტუციონალურ, მარეგულირებელ და პრაქტიკულ დონეებზე და ითვალისწინებს სამსახურის ეფექტიანობის ხარისხის გაუმჯობესებას. საჭიროებათა კვლევის შემდგომ ეტაპზე განხორციელდა **პროფესიული ცოდნის გაძლიერების ღონისძიებათა ციკლი,** მათ შორის სამსახურის თანამშრომელთა ტრენინგი საზოგადოებასთან და მედიასთან ეფექტური კომუნიკაციის საკითხებზე. ამასთან, ინსპექციის წარმომადგენლებისთვის მომზადდა **მაღალი დონის სასწავლო ვიზიტი** პოლონეთში, რომელიც შეფასდა როგორც ძალზედ წარმატებული და მისასალმებელი. ამ ვიზიტის მიზანი იყო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება პოლონელი კოლეგებისგან.

საკვანძო მიღწევა

შრომის ინსპექციის სამსახურმა დანერგა სასწავლო პროგრამები შრომის ინსპექტორებისთვის. დაახლოებით 120-მა თანამშრომელმა გაიუმჯობესა ცოდნა კომუნიკაციის საკითხებში. ტრენინგის ეს მოდელი შეფასდა როგორც სამაგალითო და მისი მეთოდოლოგია სხვა ქვეყნებშიც იქნა გამოყენებული. ამასთან, ინსპექციის თანამშრომლებმა წარმატებით გაიარეს ევროპის საბჭოს HELP კურსი შრომით უფლებებზე.

ბექა ფერაძე

შრომის ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელი - მთავარი შრომის ინსპექტორი

საქართველოში სოციალური და ეკონომიკური უფლებების გაუმჯობესების/გაძლიერების პარალელურად არსებითად მნიშვნელოვანია შრომით ნორმებზე საზედამხედველო უწყების ინსტიტუციური გაძლიერება, რომლისთვისაც არაერთი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით. ამ გზაზე, მნიშვნელოვანი გახლდათ ის მხარდაჭერა, რომელიც ევროპის საბჭოს პროექტის „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში შრომის ინსპექციის სამსახურისთვის განხორციელდა. მათ შორის, აღსანიშავია პროექტის მიერ ექსპერტული მხარდაჭერით მომზადებული „შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური შეფასება“, რომელიც სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შინაარსის მატარებელია და იმ ძირითად მიგნებებს/რეკომენდაციებს აერთიანებს, რასაც შრომის ინსპექციის სამსახური ინსტიტუციური განვითარების ეტაპობრივად დანერგავს.

2023 წლის 17 ნოემბერი

აპრილი-ივნისი 2022
HELP ონლაინ სასწავლო კურსი (1 რაუნდი)

მაისი 2022
ვორქშოფი კომუნიკაციის საკითხებზე შრომის ინსპექციის მენეჯმენტისთვის

მაისი 2022
ტრენინგი კომუნიკაციისა და სოციაური უნარების თემაზე - შრომის ინსპექციის ყველა თანამშრომლისთვის

ივლისი 2022
მომზადდა შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური შეფასება

ივლისი 2022
გაიმართა შეფასების შედეგების, რეკომენდაციების პრეზენტაცია

აგვისტო 2022
შრომის ინსპექციის სამსახურის სასწავლო ვიზიტი პოლონეთში

მარტი-ივნისი 2023
HELP ონლაინ სასწავლო კურსი (2 რაუნდი)

მარტი 2023
ვორქშოფი ბავშვთა შრომის თაობაზე ქარტიის სტანდარტების ჭრილში

ივლისი 2023
ვორქშოფი შრომის ინსპექტორთათვის სექსუალურ შევიწროებაზე და რეაგირების მექანიზმებზე

ივლისი 2023
ვორქშოფი არასრულწლოვან პირებთან და სხვა მოწყვლად შრომით ჯგუფებთან კომუნიკაციის თავისებურებებზე

ნოემბერი 2023
ვორქშოფი საერთაშორისო შრომის სამართლის სტანდარტები ქარტიის ჭრილში

ნატო ნათენაძე

მთავარი შრომის ინსპექტორის
პირველი მოადგილე

შრომის ინსპექციის სამსახური

ევროპის საბჭოს პროექტის „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლები 2022 წლიდან გადამზადნენ ევროპის საბჭოს მთავარი საგანმანათლებლო პლატფორმის „ადამიანის უფლებების შესახებ სამართლის სპეციალისტების განათლების“ (HELP) ევროპული პროგრამის საშუალებით. გარდა იმისა, რომ სამსახურმა პლატფორმაში გავლილი კურსის შეფასების შედეგად მოწინავე შედეგები დადო, ასევე აღიჭურვა იმ ფუნდამენტური ევროპული სტანდარტების ცოდნით, რომელსაც ყოველდღიურ რეჟიმში შრომის ინსპექტორები შრომის ნორმებზე ზედამხედველობის ფარგლებში იყენებენ. HELP-ის ონლაინ კურსის მასალები, ასევე ინტენსიურად გამოიყენება სამსახურში ახალი კადრების გადამზადებისას და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სასწავლო პორტალს, რომლის სისტემურად დანერგვა და განვითარება იგეგმება.

2023 წლის 17 ნოემბერი

ანგარიშვალდებულება გაუმჯობესდა მაღალი ხარისხის ანგარიშების მომზადების გზით

ევროპის საბჭომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია ქარტიის დებულებების თაობაზე **ანგარიშების მომზადების ხარისხის** გაუმჯობესების კუთხით, რაც საშუალებას მისცემს სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს, სრულად შეაფასოს მდგომარეობა საქართველოში და წარმოადგინოს სრულყოფილი დასკვნები. ეს, თავის მხრივ, დაეხმარება პოლიტიკის გამტარებლებს, გადადგან უფრო მეტად ინფორმირებული საკანონმდებლო და პოლიტიკასთან დაკავშირებული ნაბიჯები. ამ მხარდაჭერის ფარგლებში **საქართველოს მიერ წლიური ანგარიშების მომზადების პროცესი იყო უფრო ინკლუზიური,** ხოლო საჭირო ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების მეთოდოლოგია შესაბამისობაში იყო ქარტიის ანგარიშგების პროცედურის მოთხოვნებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან. უახლესი ანგარიში კომიტეტს წარედგინება 2023 წლის დეკემბერს და შესაბამისი დასკვნები გამოქვეყნდება დადგენილ ვადებში.

საკვანძო მიღწევა

ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების ინიციატივების დახმარებით, სახალხო დამცველის ოფისმა (PDO) და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა სოციალური უფლებების ევროპულ კომიტეტში წარადგინეს ალტერნატიული ანგარიშები. PDO უკვე რეგულარულად წარადგენს ანგარიშებს, რასაც მაღალი შეფასება აქვს კომიტეტის მხრიდან. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა ის, რომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) გახდა პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია საქრთველოში, რომელმაც წარადგინა ალტერნატიული ანგარიში 2022 წელს. 2023 წელს, GYLA-მ, სოციალური სამართლის ცენტრმა და პარტნიორობამ ადამიანის უფლებებისთვის ერთობლივად წარადგინეს კონსოლიდირებული ანგარიში, რაც სამოქალაქო სექტორის მზარდ ჩართულობაზე მიუთითებს.

მთავარი მოვლენები

MoH, LIO, PDO, სავაჭრო კავშირები

მარტი 2022

მომზადდა ეროვნული და ჩრდილოვანი ანგარიშების სახელმძღვანელო

ჯანდაცვის სამინისტრო

მარტი 2022

ტრენინგი და ვორქშოფი ეროვნული ანგარიშების მომზადებაზე

სახალხო დამცველის ოფისიa

მარტი 2022

ტრენინგი და ვორქშოფი ალტერნატიული ანგარიშების მომზადებაზე

ყველა პარტნიორი

აპრილი 2022

ითარგმნა ESCR-ის დასკვნები საქართველოზე

სახალხო დამცველის ოფისი

ივლისი 2022

სასწავლო ვიზიტი ირლანდიაში

ჯანდცვის სამინისტრო

დეკემბერი 2022

ვორქშოფი ეროვნული ანგარიშების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებაზე

სახალხო დამცველის ოფისი

თებერვალი 2023

ვორქშოფი ალტერნატიული ანგარიშების მომზადებაზე

სამოქალაქო სექტორი

აპრილი 2023

ვორქშოფი ქარტიის განხორციელების შესახებ ერთობლივი ალტერნატიული ანგარიშების მომზადებაზე

სახალხო დამცველი, სამოქალაქო სექტორი

ივნისი 2023

ვორქშოფი ECHR & ECSR პრეცედენტული სამართლის ანალიზზე

პარტნიორი ინსტიტუტების პროფესიული გაძლიერება

2021-2023 წლებში, ევროპის საბჭომ ორგანიზება გაუწია და უმასპინძლა:

21 ვოქრშოფს

5 სემინარს

9 ტრენინგს ფიზიკური დასწრებით

3 ონლაინ ტრენინგს

2 დისტანციური სწავლების კურსს (HELP)

2 სასწავლო ვიზიტს

647 მონაწლისთვის

/ 443 ქალი, 204 კაცი /

ყველა პარტნიორი ინსტიტუტიდან და სამიზნე ჯგუფიდან, რომლებშიც შედიან: ჯანდაცვისა და სხვა შესაბამისი სამინისტროების, შრომის ინსპექციის სამსახურის, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების, სახალხო დამცველის ოფისის, არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფესიული კავშირებისა და ასოციაციების წარმომადგელებისთვის, ასევე სამართლის სპეციალისტებისთვის, მათ შორის მოსამართლეებისა და იურისტებისთვის.




"If you can change
one person's mind,
they will change
another."

საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორების ჩართულობისა და დაინტერესებულ მხარეთა შორის დიალოგის ხელშეწყობა

პროექტის განხორციელების პროცესში, ევროპის საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო **საქმიანობის კოორდინაციას სხვა დონორებთან და პარტნიორებთან.** 2022 წლის თებერვალში, საბჭოს ორგანიზებით გაიმართა დონორთა საკოორდინაცო შეხვედრა, შრომითი უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, რომელსაც ესწრებოდნენ ასევე ადგილობრივი პარტნიორი ინსტიტუტების წარმომადგენლები. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებთან მიახლოვება და დონორთა სექტორული ინტერვენციების იდენტიფიცირება და მათი კოორდინაცია. ეს შეხვედრა საფუძვლად დაედო დაინტერესებულ მხარეებს, დონორებსა და პარტნიორებს შორის დიალოგისა და მათი ჩართულობის უფრო ძლიერი ინსტრუმენტის შექმნას. შედეგად, ევროპის საბჭომ ჩამოაყალიბა **დონორთა კოორდინაციის პლატფორმა სოციალური უფლებების სფეროში,** რომელიც აერთიანებს 20-მდე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციას, ასევე, სახელმწიფო უწყებებს. ეს ინიციატივა ძალზედ პოზიტიურად შეფასდა განსაკუთრებით სამოქალაქო სექტორის მხრიდან, რადგან ამით მათ შესაძლებლობა მიეცათ, აქტიურად ჩართულიყვნენ და საკუთარი წვლილი შეეტანად საქართველოში სოციალური უფლებების განმტკიცების საქმეში.

► გვერდი 26

დიმიტრი ცქიტიშვილი

საქართველოს პროგრესული ფორუმის პრეზიდენტი

შრომის უფლებების დაცვის სფეროში განხორციელებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ხეფორმების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევის წინაშე დგას ჩვენი საზოგადოება. დაინტერესებული მხარეების, საერთაშორისო და აღგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია, რომელიც ხორციელდება ევროპის საბჭოს პროექტის ინიციატივით პერიოდული შეხვედრების გზით, შესაძლებელს ხდის, ერთი მხრივ, სხვადასხვა ექსპერტული პერსპექტივიდან დავინახოთ არსებული გამოწვევები და პრობლემები და, მეორე მხრივ, შეზღუდული რესურსების უფრო ოპტიმალურად და ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

2023 წლის 17 ნოემბერი

ნინო ცაგარეიშვილი

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ეროვნული პროგრამის მენეჯერი

ევროპის საბჭოს პროექტის ინიციატივა მნიშვნელოვან მომენტს დაემთხვა და მან დონორთა კოორდინაციის გაძლიერებას შეუწყო ხელი. ამ ინიციატივის შედეგად გაუმჯობესდა არა მხოლოდ აქტივობების კოორდინაცია, არამედ ხელი შეეწყო პროექტებს შორის თანამშრომლობას და აქტივობების სინერგიას.

2023 წლის 17 ნოემბერი

დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა #1



ევროპის საბჭოს პროექტის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა საქართველოში შრომითი უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორებისა და ეროვნული პარტნიორების მონაწილეობით, რომლის მიზანიც იყო დონორთა საქმიანობის, მათ შორის მიმდინარე მიზნებისა და ამოცანების კოორდინაციის წახალისება და საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებისა და დონორი ორგანიზაციების სექტორული ინტერვენციების შესაბამისობაში მოყვანა.

2022 წლის 24 თებერვალი

დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა #2

ევროპის საბჭოს პროექტმა, როგორც დონორთა აქტივობების კოორდინაციის ინიციატორმა, მეორე საკოორდინაცო შეხვედრას უმასპინძლა ყველა დაინტერესებული მხარისა და პარტნიორის მონაწილეობით. ეს შეხვედრა ემსახურებოდა დონორთა აქტივობებისა და დაფინანსების კუთხით საჭიროებების იდენტიფიცირებას, ერთიანი მიდგომის შემუშავებას და დონორთა აქტივობების უფრო მეტად შედეგზე ორიენტირებული ინტერვენციების სახით ჩამოყალიბებას.

2022 წლის 7 დეკემბერი

დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა #3

დონორთა კოორდინაციის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, ევროპის საბჭოს პროექტმა ორგან მესამე საკოორდინციო შეხვედრას უმასპინძლა საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორების მონაწილეობით. პირველი ორი საკოორდინაციო შეხვედრის პრაქტიკამ აჩვენა ინფორმაციის უთიერთგაცვლის პლატფორმის საჭიროება და აუცილებლობა, რათა თავიდან იყოს აცილებული დუბლირებები და ხელი შეეწყოს სინერგიას, თანამშრომლობას. ევროპის საბჭო იმედოვნებს, რომ შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება, რაც ხელს შეუწყობს ამ პროცესის მდგრადობას და დონორთა დახმარებების ეფექტიან გამოყენებას საქართველოში შრომის უფლებების გაძლიერების სფეროში.

2023 წლის 14 სექტემბერი

პუბლიკაციები

პროექტის ფარგლებში, ევროპის საბჭოს მიერ შეიქმნა, ითარგმნა ან ადაპტირდა მთელი რიგი რესურსები, მათ შორის: სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვენები (2018/2019/2020/2021/2022), სახელმძღვანელოები და გზამკვლევები იურისტებისთვის, სამოქალაქო სექტორის ჩართულობისთვის, ასევე, ანგარიშები, შეფასებები და დაიჯესტები.

პუბლიკაციის დასახელება	რატომ არის ის მნიშვნელოვანი?
ევროპის სოციალური ქარტია, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნები საქართველოს შესახებ 2018/2019/2020/2021/2022	ქართულ ენაზე მომზადებულ ამ პუბლიკაციაში მოცემულია ინფორმაცია საქართველოს ქარტიის სხვადასხვა მუხლთან მიმართებაში; სამიზნე აუდიტორია: საქართველოს სახელმწიფო მოხელეები, გადაწყვეტილების მიმღები პირები, სამმხრივი სოციალური დიალოგის წევრები, ფართო საზოგადოება.
როგორ შეუძლიათ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს თანამშრომლობა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტთან, ევროპის სოციალური ქარტიის მონიტორინგის პროცედურათა ფარგლებში	ეს სახელმძღვანელო მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა ინსტიტუტებისთვის საქართველოში, რათა გაიზარდოს მათი ინფორმირებულობა ECSR-ის მონიტორინგის პროცედურების შესახებ და, ასევე, გაზარდოს მათი ჩართულობის შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში.
საბავშვო კომიქსი „მითხარი, რა არის ევროპის სოციალური ქარტია?“	ამ ბროშურის მიზანია ბავშვების ცნობიერების ამაღლება ევროპის სოციალური ქარტიის შესახებ.
ევროპის სოციალური ქარტიის მიუღებელ დებულებათა პროცედურა *(საქართველოსთვის)*	ქართულ ენაზე ადაპტირებული ეს სახელმძღვანელო შეეხება ქარტიის იმ დებულებებს, რომლებსაც საქართველო არ არის მიერთებული. ასევე, მოიცავს დეტალურ ანალიზს საქართველოს მდგომარეობის შესახებ ქარტიასთან მიმართებით. სამიზნე აუდიტორია: სახელმწიფო მოხელეები და გადაწვეტილების მიმღები პირები.





სახელმძღვანელო იურისტებისთვის: ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული) და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრეცედენტული სამართალი *(საქართველოსთვის)*	ეს სახელმძღვანელო ადაპტირებულია ქართულ კონტექსტზე. მასში გამოყენებულია მაგალითები ქართული რეალობიდან და გაანალიზებულია ევროპის სოცალური ქარტიის დებულებები.
როგორ შეუძლიათ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა და თანასწორობის ეროვნულ ორგანოებს თანამშრომლობა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტთან	ეს სახელმძღვანელო არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და თანასწორობის ეროვნული ორგანოებისთვის საქართველოში, რათა გაიზარდოს მათი ინფორმირებულობა ECSR-ის მონიტორინგის პროცედურების შესახებ, ასევე, მათი ჩართულობის შესაძლებლობა.
საქართველოში სოციალურ უფლებებთან დაკავშირებულ საჭიროებათა შეფასების ანგარიში	ეს ანგარიში მოიცავს მიგნებებს და რეკომენდაციებს გასატარებელი ღონისძიების შესახებ. იგი სთავაზობს საქართველოს ხელისუფლებას ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობას, გამოვლენილი საჭიროებების აღმოსაფხვრელად და სოციალური უფლებების დაცვის გასაძლიერებლად ევროპის საბჭოს სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.
საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციონალური (შესაძლებლობების) შეფასება	ეს დოკუმენტი მოიცავს შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური შეფასების მიგნებებს და რეკომენდაციებს გასატარებელი ღონისძიების შესახებ.
სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრეცედენტული სამართლის კრებული - 2022 წლის ივნისი	ამ დაიჯესტით, საქართველოს სახელმწიფო უწყებებს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, სამმხრივი სოციალური დიალოგის წევრებს, იურიდიული სფეროს წარმომადგენლებს და ფართო საზოგადოებას, ეძლევა წვდომა ECSR-ის პრეცედენტული სამართლის კრებულზე, ქართულ ენაზე.

მესამე ანგარიში ევროპის სოციალური ქარტიის მიუღებელი დებულებების შესახებ - საქართველო სახელმძღვანელო მიღებულ დებულებებზე ანგარიშების მომზადების შესახებ ევროპის სოციალური ქარტიის ანგარიშგების პროცედურის ფარგლებში (საქართველოსთვის)	ქართულ ენაზე მომზადებულ ამ ანგარიშში წარმოდგენილია უახლესი ინფორმაცია და ანალიზი ქარტიის იმ დებულებებზე, რომლებსაც საქართველო არ არის მიერთებული. დამხმარე ინსტრუმენტია ინფორმირებული გადაწვეტილებების მისაღებად შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით.
სახელმძღვანელო მიღებულ დებულებებზე ანგარიშების მომზადების შესახებ ევროპის სოციალური ქარტიის ანგარიშგების პროცედურის ფარგლებში **(საქართველოსთვის)**	ქართულ ენაზე ადაპტირებულ სახელმძღვანელოში გამოყენებულია მაგალითები ქართული რეალობიდან და გაანალიზებულია ქარტიის დებულებები ECSR-ის მიერ საქართველოსთვის მომზადებულ დასკვნებზე დაყრდნობით.
ადამიანის უფლებათ ევროპული კონვენციის პრეცედენტული სამართლის გზამკვლევი	ეს სახელმძღვანელო შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრეცედენტულ სამართლს. სამიზნე აუდიტორია: სახელმწიფო მოხელეები, გადაწყვეტლების მიმღები პირები, სამმხრივი სოციალური დიალოგის წევრები, იურიდიული სფეროს წარმომადგენლები, ფართო საზოგადოება.
დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების იდენტიფიცირების საკითხები (ფსიქოლოგიური ნაწილი) (შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთათვის)	ამ გზამკვლევში, პროფესიული უნარების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები დაეხმარება შრომის ინსპექტორებს, მარტივად მოიპოვონ ინფორმაცია დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების შემთხვევებში და თავიდან აირიდონ მეორადი ვიქტიმიზაცია.
არასრულწლოვნებსა და სხვა მოწყვლად შრომით ჯგუფებთან კომუნიკაციის თავისებურებები *(შრომის ინსპექციის სამსახუhის თანამშhომეeთათვის)*	ეს მოკლე გზამკვლევი ემსახურება არასრულწლოვან პირებთან და სხვა მოწყვლად შრომით ჯგუფებთან კომუნიკაციის თავისებურებების გაცნობას, რაც დაეხმარება შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლებს, გამოიმუშავონ პრაქტიკული უნარები და გამოიყენონ აღნიშნულ სამიზნე ჯგუფებზე ორიენტირებული მიდგომები ინსპექტირების პროცესში.
სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შესწავლის მეთოდოლოგია	ეს არის პრაქტიკული სახელმძღვანელო შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლებისთვის.

მდგრადობა

პროექტი წარმოადგენს ევროპის საბჭოს უნიკალური სტრატეგიული სამკუთხედის - სტანდარტის, მონიტორინგისა და თანამშრომლობის - განუყოფელ ნაწილს. მისი მდგრადობა დიდწილად ეფუძნება თანამშრომლობის პრინციპს, რაც მოიაზრებს პარტნიორ უწყებებთან და დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კოორდინაციას. ჩვენი მგდრადობის სტრატეგიის ქვაკუთხედი პროექტის ფარგლებში სრულფასოვანი შეფასებებისა და რეკომენდაციების მომზადებაა. დეტალურად შემუშავებულ „საგზაო რუკებთან“ ერთად, ეს შეფასებები და რეკომენდაციები შესაბამისი უწყებებისთვის ქმნის ფასდაუდებელ, ეტაპობრივ გზამკვლევს, რათა საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ევროპის სოციალური ქარტიის სტანდარტებთან.

მდგრადობის გასაღრმავებლად და მაღალი ხარისხის ეროვნული და ალტერნატიული ანგარიშების მომზადების მიზნით შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და ინსტიტუტების ცოდნითა და ინფორმაციით აღჭურვის უზრუნველსაყოფად, ყველა თემატური ჯგუფისთვის მომზადდა სახელმძღვანელოები, რომლებიც დაეხმარება ახალ თანამშრომლებს საჭირო ინფორმაციის მისაღებად და სახელმძღვანელოდ. ვიმედოვნებთ, რომ ეს რესურსები გააძლიერებს სახელმწიფო უწყებებს და ინსტიტუტებს, განაგრძონ საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპის სოციალური ქარტიით დაწესებულ მაღალ სტანდარტებთან.

▶ გვერდი 32

პროექტის გუნდი

მარგარიტა გალსტიანი
პროგრამის მენეჯერი

დიანა დავითაძე
პროექტის ოფიცერი

თამარ ნოზაძე
პროექტის უფროსი ოფიცერი

გვანცა კერესელიძე
პროექტის ასისტენტი

PAŃSTWOWA INSPEKCJA PRACY

CONSEIL DE L'EUROPE



www.coe.int





ევროპის სოციალური ქარტია მიღებულია 1961 წელს და გადაისინჯა 1996 წელს. ეს არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ანალოგი ეკონომიკისა და სოციალური უფლებების სფეროში. ქარტიით გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრი, რომლებიც უკავშირდება დასაქმებას, საცხოვრებელს, ჯანმრთელობას, განათლებას, სოციალურ დაცვასა და კეთილდღეობას.

პანევროპულ დონეზე არცერთი სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტი არ იცავს სოციალურ უფლებებს ისე ფართოდ და სრულფასოვნად, როგორც ქარტია. შესაბამისად, იგი განიხილება ევროპის სოციალურ კონსტიტუციად და ადამიანის უფლებათა სისტემის განუყოფელი ნაწილია კონტინენტზე.

www.coe.int/socialcharter

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. იგი შედგება 46 სახელმწიფოსგან, ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის ჩათვლით. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის შესრულებას ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE